საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

NCDC 5 22 00097698 12/07/2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოცალური დაცვის მინისტრის

პირველ მოადგილეს ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 11 მაისს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - „ცენტრი“) განსახილველად შემოვიდა კორესპონდენცია (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი N01/1493), რომელიც ეხება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და შპს „ბაუ-დიზაინს“ შორის 2022 წლის 21 მარტის N1/22 ხელშეკრულების (კონკურსი №CNT210000032) საფუძველზე „ბაუ-დიზაინის” მიერ დამუშავებული ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე ცენტრის შენიშნვებისა და მოსაზრებების მომზადებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ცენტრის მხრიდან არაერთგზის მცდელობის მიუხედავად ვერ იქნა მოპოვებული ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილით *(დამგეგმავი ორგანო შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მომზადებისა, სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართავს სკოპინგის განცხადებით, რომელსაც თან ერთვის სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან სამუშაო ვერსია (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით))* გათვალისწინებული დოკუმენტაცია მატერიალური ფორმით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტისა და სკოპინგის განცხადების განხილვა განახლდება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საქართველოს კანონის შესაბამისად დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი
ამირან გამყრელიძე